

საბოლოო შესაბამისობის ანგარიში

განსახლების სამოქმედო გეგმის
შესახებ
RAP

კახეთის რეგიონალური გზების გაუმჯობესების პროექტი (KRRIP) (P117152)

ბაკურციხე-სოფ.გურჯაანის ქვე-მონაკვეთი (კმ 1.06– კმ 9.00)

მომზადებულია

ბაკურციხე-გურჯაანის შემოვლითი საგზაო მონაკვეთის რეაბილიტაციისთვის კახეთის რეგიონალური გაუმჯობესების პროექტის KRRIP/CS/QCBS-03 ფარგლებში (მონაკვეთი თბილისი-ბაკურციხე-ლაგოდეხის და ბაკურციხე-თელავი-ახმეტის გადამკვეთ გზასა და ბაკურციხე-თელავი-ახმეტის გზას შორის)

(სესხი ნომერი IBRD-77410, IDA-5108-GE)
ნოემბერი 2016

შინაარსი

მონიტორინგის შესახებ

აბრევიატურები

პროექტის რუკა

მოკლე მიმოხილვა

პროექტის აღწერა

პროექტის მასშტაბი

სააგენტოები და დაფინანსება

პროექტის სტატუსი

მეთოდოლოგია

სოციალური უსაფრთხოების კონსულტანტის დასკვნები და შეფასებები

RAP-ის განხორციელების მოდალობების შეფასება

მიწის შესყიდვისა და განსახლების გავლენის მინიმიზაცია

პროექტის ზემოქმედების ფაქტობრივი მოქმედების არეალის განსაზღვრა

კომპენსაციის გაცემის შეფასება

კომპენსაციის მიღების უფლება

კომპენსაცია მიწის სამუდამო დაკარგვისთვის

ლეგალიზაციის პროცესში პროექტით დაზარალებული პირების დახმარება
განმახორციელებელი ორგანოს, საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ

ფულადი კომპენსაცია ნაგებობებისთვის

კომპენსაცია ერთწლიანი ნარგავებისთვის

ფულადი კომპენსაცია მრავალწლოვანი მცენარეებისთვის

დაუცველი ჯგუფების საკომპენსაციო უფლებამოსილება
საკომპენსაციო უფლებამოსილება მძიმე ზემოქმედების შემთხვევებისთვის

საზოგადოების კმაყოფილების ხარისხის შეფასება

საჯარო შეხვედრები და საზოგადოების ცნობიერების ამაღლება პროექტის მიზნებისა და ამოცანების შესახებ
სოციალური კვლევის შედეგები

გენდერი და განსახლების გავლენა

პრეტენზიები & საჩივრების განხილვის მექანიზმი

სახელმწიფო ხაზინა – ესქრო ანგარიშების ალტერნატივა

დასკვნები

სოციალური უსაფრთხოების კონსულტანტის ანგარიში

დანართები

1. RAP-ის განხორციელების გავლენებისა და კომპენსაციების ოდენობების ამსახველი ცხრილი
2. ადგილობრივ მოსახლეობაზე არაპირდაპირი გავლენების შეფასება
3. გამართული დისკუსიებისა და მოსახლეობასთან შეხვედრების შეჯამება

აბრევიატურები

მსოფლიო ბანკი	WB
პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირი	AP
პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული შინამეურნეობა	AH
მშენებლობის ზედამხედველობის კონსულტანტი	CSC
დეტალური გაზომვითი კვლევა	DMS
სოციალური უსაფრთხოების კონსულტანტი	SSC
ქართული ლარი	GEL
საქართველოს მთავრობა	GoG
საჩივრების განხილვის კომისია	GRC
განმახორციელებელი ორგანო	IA
გარე მონიტორინგის სააგენტო	EMA
კილომეტრი	Km
მიწის შესყიდვა და განსახლება	LAR
განსახლების პოლიტიკის ჩარჩო	RPF
განსახლების სამოქმედო გეგმა	RAP
RAP-ის საბოლოო შესაბამისობის ანგარიში	RFCR
მონიტორინგი და შეფასება	M&E
მრავალტრანშული ფინანსური შესაძლებლობა	MFF
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო	MOF
რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო	MRDI
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო	NAPR
პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული	PA
პროექტის მომზადების ტექნიკური დახმარება	PPTA

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტი	RDMRD I
განსახლება და რეაბილიტაცია	R&R
საავტომობილო გზების განვითარების და განსახლების სამმართველოები	RDRD
განთვისების ზოლი	RoW
განსახლების ერთეული	RU
სოციო-ეკონომიკური კვლევა	SES
უსაფრთხოების პოლიტიკის დირექტივა	SPS
სატრანსპორტო რეფორმისა და რეაბილიტაციის ცენტრი	TRRC

მონიტორინგის შესახებ

საავტომობილო გზების დეპარტამენტსა და მსოფლიო ბანკის ჯგუფს შორის 2012 წლის თებერვლის მისიის პერიოდში მიღწეული შეთანხმების შესაბამისად, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტმა დაიქირავა მარიამ ბეგიაშვილი სოციალური უსაფრთხოების კონსულტანტად (კონტრაქტი N.SLRP/CS/SSS-01) განსახლების სამოქმედო გეგმის შედგენის და ზემოქმედების შეფასებისა და მონიტორინგის განხორციელებისთვის და საბოლოო შესაბამისობის ანგარიშების (RFCR) მოსამზადებლად.


მსოფლიო ბანკის მიერ საბოლოო RAP-ის დადასტურება შესაბამისი სამშენებლო სამუშაოების კონტრაქტების გაფორმების დადასტურების პირობაა. ანალოგიურად, RAP-ის სრული განხორციელება სამშენებლო სამუშაოების დაწყების პირობაა. RPF-სა და RAP-ში მოცემული პირობების შესაბამისად RAP-ის განხორციელების დასრულება შემოწმებული და დადასტურებულია სოციალური უსაფრთხოების კონსულტანტის მიერ მომზადებული RAP-ის საბოლოო შესაბამისობის ანგარიშში (RFCR).

პროექტის მონიტორინგი დაფუძნებული იყო (i) მსოფლიო ბანკის პროცედურებსა და დირექტივებზე, როგორც ეს მსოფლიო ბანკის OP 4.12 მოთხოვნებით არის დადგენილი; (ii) საქართველოში მოქმედ შესაბამის კანონებზე, პოლიტიკასა და რეგულაციებზე; (iii) პროექტის RPF-სა და RAP-ზე; (iv) ზოგად პრინციპებზე, რომ მოხდეს არანებაყოფლობითი განსახლების თავიდან აცილება სადაც ეს შესაძლებელია, ან მისი მინიმუმება, პროექტირების ყველა შესაძლო ვარიანტის გამორკვევა, ისევე როგორც, პროექტით დაზარალებული პირების საარსებო წყაროს გაუმჯობესება ან, სულ მცირე,


გადაადგილებამდე არსებულ დონეზე ან პროექტის განხორციელების დაწყებამდე არსებულ დონეზე შენარჩუნება - რომელი მაჩვენებელიც უფრო მაღალი იქნება.


ბაკურციხე-სოფ. გურჯაანის (კმ 1.06 - კმ 9.00) ქვე-მონაკვეთისთვის საბოლოო შესაბამისობის ანგარიში წარმოდგენილია საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტში და განსახილველად წარდგენილია მსოფლიო ბანკში.

პროექტის რუკა



ფართობის რუკა





მოკლე მიმოხილვა

1. ბაკურციხე-გურჯაანის შემოსავლელი გზა წარმოადგენს საქართველოს მთავრობისა და მსოფლიო ბანკის მიერ დაფინანსებული კახეთის რეგიონალური გზების გაუმჯობესების პროექტის (KRRIP) კომპონენტს. შემოსავლელი გზა იწყება თბილისი-ბაკურციხე-ლაგოდეხისა და ბაკურციხე-თელავი-ახმეტის გადამკვეთი გზიდან და სრულდება ბაკურციხე-თელავი-ახმეტის გზასთან. გზა უმეტესწილად იყენებს 1980-იან წლებში აშენებულ თავდაპირველ საგზაო დერეფანს, თუმცა ითვალისწინებს ახალ რეალობებსაც. მთავარი განსხვავება ის არის, რომ ახალი გზა გვერდს აუვლის იმ ფართობებს, რომლებიც განაშენიანებული და ათვისებული იქნა 1980-იანი წლებიდან.

1. მთლიანი საპროექტო მიმართულება დაყოფილი იქნება რამდენიმე ქვე-მონაკვეთად, ხოლო პროექტის განვითარება მოხდება სხვადასხვა ფაზებად. თავდაპირველი RAP-ის შესაბამისად, პირველი ფაზისას დაიფარება ქვე-მონაკვეთი 1 (0.0 – 5.0 კმ), შემდეგ - ქვე-მონაკვეთი 2 (5.0 – 10.0 კმ), და

საბოლოოდ - ქვე-მონაკვეთი 3 (10.0 – 15.6 კმ). მას შემდეგ, რაც მოხდება მსოფლიო ბანკის OP/BP 4.12 არანებაყოფლობითი განსახლების პოლიტიკის მოთხოვნების შესაბამის განსახლების სამოქმედო გეგმაში შემავალი (RAP) ყველა კომპენსაციის გაცემის დასრულება, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტმა (RDMRDI), როგორც პროგრამის განმახორციელებელმა ორგანომ (IA), უნდა მოამზადოს ყოველი ქვე-მონაკვეთისთვის შესაბამისობის ანგარიშები. პირველი ქვე-მონაკვეთისთვის მომზადებული შესაბამისობის ანგარიში და სიგრძე მცირეოდენით აღემატება თავდაპირველ RAP-ში ნავარაუდებს (თითქმის 8 კმ).

2. საავტომობილო გზა მოიცავს დაახლოებით 15 კმ-იან საგზაო მონაკვეთს კახეთის რეგიონში, სოფ. ბაკურციხიდან სოფ. ჩუმლაყამდე, გურჯაანის რეგიონში. ეს მონაკვეთი კახეთის რეგიონის ერთ-ერთი მთავარი, ახმეტა-თელავი-ბაკურციხის შიდასახელმწიფოებრივი გზის ნაწილია. გზა გადის მჭიდროდ დასახლებულ ტერიტორიებზე. შესაბამისად, ამ ნაწილში სატრანზიტო მოძრაობა ინტენსიურია და საგზაო შემთხვევების მაღალი რაოდენობა ფიქსირდება. მიმდინარეობს შემოსავლელი გზის მშენებლობის დაგეგმვა, რომელიც დააკავშირებს თბილისი-ბაკურციხე-ლაგოდეხი-აზერბაიჯანის საერთაშორისო სასაზღვრო გზას ახმეტა-თელავი-ბაკურციხის შიდასახელმწიფოებრივ გზასთან ალაზნის ხეობაში მდებარე სოფლების ბაკურციხის, კოლაგის, ძირკოკის, ჩანდარის, ვეჯინისა და ჩუმლაყის, ასევე გურჯაანის რეგიონის გვერდის ავლით (იხ. ნახაზი 1).

ბაკურციხე-სოფ.გურჯაანის (კმ 1.06 – კმ 9.00) ქვე-მონაკვეთისთვის მომზადებული ამ პირველი შესაბამისობის ანგარიშის წარმოდგენა დაგეგმილია 2016 წლის დეკემბერში.

მეორე შესაბამისობის ანგარიშის წარმოდგენა, რომელიც ფარავს სოფ. ბაკურციხე-სოფ. ახალშენის (კმ 9.00 - კმ 15.6) ქვე-მონაკვეთს, დაგეგმილია 2017 წლის იანვარში.

მესამე შესაბამისობის ანგარიშის წარმოდგენა, რომელიც მოიცავს **სოფ. ბაკურციხის (კმ 0.00- კმ 1.06)** ქვე-მონაკვეთს, დაგეგმილია 2017 წლის აპრილში - აღნიშნული ქვე-მონაკვეთის შესახებ ორი სასამართლო საქმის წარმოება (ექსპორპიაციის პროცედურები მალე დაიწყება) მოსალოდნელი: ერთმა შინამეურნეობამ RD-ისგან მოითხოვა მთლიანი მიწის შესყიდვა და მესაკუთრის ფიზიკური განსახლებისთვის კომპენსაციის გამოყოფა, ხოლო მეორე შინამეურნეობამ მოითხოვა საკუთარი მიწისთვის ერთეულის ფასის შეცვლა და მისი, როგორც კომერციულად ათვისებული მიწის შესყიდვა, მასზე განთავსებული ნაგებობებით.

3. საგზაო ქვე-მონაკვეთი **ბაკურციხე-სოფ. გურჯაანი (კმ 1.06 - კმ 9.00)** გავლენას ახდენს მთლიანობაში 511910 მ² სიდიდის ფართობზე, RAP-ის მიერ

განსაზღვრული იქნა პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული 181¹ ძირითადი ნაკვეთი (92 356 მ²). კომპენსაციების საერთო რაოდენობაა 1 224 427 ლარი. აღნიშნულ თანხაში 278, 378 ლარი გადახდილია მიწისთვის, 4-მა მესაკუთრემ კომპენსაცია მიიღო ღობეებისთვის და 105-მა შინამეურნეობამ - მძიმე ზემოქმედებისთვის (ჯამში 104 160 ლარი); ჯამში 756 561 ლარია გადახდილი მრავალწლოვანი მცენარეებისთვის და 55 818 ლარი - ერთწლიანი ნარგავებისთვის; 8 370 ლარი გადახდილია მოწყვლადი შინამეურნეობებისთვის; 12 158 ლარი რეგისტრაციებისთვის გადახდილი ჯამური თანხაა. კომპენსაციების გაცემა განხორციელდა 2016 წლის აპრილი-ოქტობრის პერიოდში.

4. ამგვარად, საბოლოო შესაბამისობის ანგარიშში (LFCR) გადმოცემულია მონიტორინგის პროცესის დეტალური აღწერა და მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმის (RAP) ფარგლებში გათვალისწინებული კომპენსაციების შედარებითი ანალიზი, აგრეთვე, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ მომზადებული და საქართველოს მთავრობისა და მსოფლიო ბანკის მიერ მოწონებული მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმით (RAP) და მიწის შესყიდვისა და განსახლების პოლიტიკის ჩარჩოებით (LARF) გათვალისწინებული კომპენსაციების შესაბამისად მიწის შესყიდვისა და კომპენსაციების გაცემის შედეგები.

5. ეს ანგარიში ხაზს უსვამს შემდეგს:

- შეფასება, თუ რამდენად RAP-ისა და RPF-ის პირობების შესაბამისად განხორციელდა კომპენსაციის გაცემა;
- დადასტურება, რომ პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეულმა ყველა პირმა მიიღო კომპენსაცია RAP-ით გათვალისწინებული რაოდენობით;
- კვლევისა და აქტივების ღირებულების სიზუსტის შეფასება;
- ლეგალიზაციის პროცესის ეფექტურობისა და საფუძვლიანობის შეფასება;
- პრეტენზიებისა და საჩივრების შემთხვევებისა და მათი გადაჭრის გზების განხილვა;
- პროექტის მძიმე ზემოქმედების ქვეშ მოქცეული და მოწყვლადი პირებისთვის განკუთვნილი სარეაბილიტაციო პროგრამის შეფასება;
- პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირების კმაყოფილების ხარისხის შეფასება;

¹ RAP-ის განხორციელებისას მიწის შესყიდვამდე, რომლის საჭიროებაც გამოვლინდა მიწის ნაკვეთის საზღვრების დაზუსტებისა და საგზაო დერეფნის გარდაქმნის პროცესში, საგზაო პროექტის ზემოქმედება აღმოფხვრილი იყო და მიწის 2 კერძო ნაკვეთი აღმოჩნდა განსახლების ფარგლებს მიღმა, გარდა ამისა, კიდევ 19 საქმეა გადაუწყვეტელი.

- ადგილობრივ მოსახლეობაზე არაპირდაპირი ზემოქმედების შეფასება;
- RAP-ის განხორციელების ზოგადი შეფასება და რეკომენდაციები მსოფლიო ბანკისადმი სამშენებლო სამუშაოების დასაწყებად თანხმობის წერილის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით;
- რეკომენდაციები და შეთავაზებები RAP-ის შემუშავებასა და განხორციელებაზე მომავალში მსგავსი პროექტებისთვის.

ცხრილი 1. ბაკურციხე-სოფ. გურჯაანის მონაკვეთზე (კმ 1.06 - კმ 9.00) RAP-ის განხორციელების ზემოქმედებისა და პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირებისათვის გადახდილი ფულადი კომპენსაციების რაოდენობების ამსახველი შემაჯამებელი ცხრილი.

ფასი	რაოდენობა	ერთეული	ზემოქმედება	No.
			მიწათსარგებლობის ნიმუშები	
	181 (2 მინიმიზაცია , 19 მიწის ნაკვეთი წინასწარი შეთანხმებებით)	No.	ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ყველა მიწის ნაკვეთი,(162 AH)	1
	511910	მ²	ზემოქმედების ქვეშ მოქცეული მთლიანი მიწის ფართობი	2
	92356		მთლიანი შესყიდული მიწის ფართობი	3
	52	No.	კატეგორია 1. კერძო რეგისტრირებული ნაკვეთები	4
	23158	მ²	(ლეგალიზებული)	
	104	No.	კატეგორია 2. კერძო (კანონიერ საკუთრებაში)	5
	61235	მ²		
	25	No.	კატეგორია 3. სახელმწიფო საკუთრებაში მყოფი, არალეგალურად დაკავებული კერძო მოსარგებლის მიერ (არა ლეგალიზებადი)	6
	7963	მ²		
	0	No.	Category 4. სახელმწიფო საკუთრებაში არსებული კერძო მოსარგებლების მიერ აუთვისებელი	7
	-	მ²		
GEL 278 378.00			მიწაში გადახდილი მთლიანი თანხა	
			მიწის ათვისებისა და კომპენსაციის კატეგორიები	
	156	No.	ტიპი 1; კერძო სასოფლო-სამეურნეო მიწა (3,30 ლარი/მ²)	8
	84 393	მ²		
	0	No.	ტიპი 2; კერძო არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების საცხოვრებელი მიწა (5,61 ლარი/მ²)	9
	-	მ²		
	0	No.	ტიპი 3; კერძო არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა, გამოყენებული კომერციული მიზნებისთვის (11,88 ლარი/მ²)	10
	-	მ²		
	25	No.	ტიპი 4; სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა (კერძო მოსარგებლის მიერ არალეგალურად გამოყენებული); არაანაზღაურებადი	11
	7963	მ²		

	0	No.	ტიპი 5; სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწა, კერძო მოსარგებლების მიერ არალეგალურად გამოყენებული საცხოვრებლად, არაანაზღაურებადი	12
	-	მ²		
	0	No.	Type 6. სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწა, არალეგალურად გამოყენებული კერძო მოსარგებლების მიერ კომერციული მიზნებისთვის; არაანაზღაურებადი	13
	-	მ²		
	0	No.	Type 7. სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწა, აუთვისებელი, არაანაზღაურებადი	14
	-	მ²		
სასოფლო-სამეურნეო ნიძუშები				
	33 369	მ²	მოსალოდნელი მოსავლისთვის განკუთვნილი სახნავ-სათესი მიწა	13
	9 560	No.	ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ხეები	20
GEL 756 561.00			მრავალწლოვანი მცენარეებისთვის გადახდილი საერთო ფასი	
GEL 55 818.00			ერთწლიანი ნარგავებისთვის გადახდილი საერთო ფასი	
ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ნაგებობები				
	N/A	No.	საცხოვრებელი შენობები	22
	N/A	No.	კომერციული შენობები	23
	N/A	No.	დამხმარე ნაგებობები	24
	425	No.	ღობეები	25
GEL 8 982.00			ნაგებობებისთვის გადახდილი საერთო ფასი	
ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ბიზნესები				
	N/A	No.	მაღაზიები	29
	N/A	No.	ბიზნეს ნაგებობები	30
0			ბიზნესებისთვის გადახდილი საერთო ფასი	
ზემოქმედების ქვეშ მოქცეული შინამეურნეობები (AH)				
	105	No.	მძიმედ დაზარალებული შინამეურნეობები	31
	60	No.	მოწყვლადი შინამეურნეობები	32
	N/A	No.	განსახლებული შინამეურნეობები	33
	40	No.	AH რეგისტრირებული ნაკვეთებით	34
	75	No.	AH ლეგალიზებული ნაკვეთებით (კანონიერი მესაკუთრეები)	35
	0	No.	AH, არალეგალურად იყენებენ სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ მიწას (არა-ლეგალიზებადი)	36
	158	No.	AH სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთებით	37
	0	No.	AH არასასოფლო-სამეურნეო (კომერციული) მიწის ნაკვეთებით	38
	162	No.	AH სულ	39
	664	No.	AP სულ	40

GEL 104 160.00			მძიმედ დაზარალებული შინამეურნეობებისთვის გადახდილი საერთო ფასი
GEL 8370.00			მოწყვლადი შინამეურნეობებისთვის გადახდილი საერთო ფასი
GEL 12158.00			რეგისტრაციისთვის გადახდილი საერთო ფასი
GEL 1 224 427			სულ

პროექტის აღწერა

მასშტაბი

1. ბაკურციხე-გურჯაანის შემოვლითი გზა კახეთის რეგიონალური გზების გაუმჯობესების პროექტის ნაწილია, რომელსაც საქართველოს მთავრობა და მსოფლიო ბანკი აფინანსებს. შემოვლითი გზა იწყება თბილისი-ბაკურციხე-ლაგოდეხისა და ბაკურციხე-ლაგოდეხი-ახმეტას კვეთაზე და სრულდება ბაკურციხე-თელავი-ახმეტის გზაზე. შემოვლითი გზა ძირითადად, 1980-ების საგზაო მარშრუტს მოიცავს, თუმცა ადაპტირებულია ახალ რეალობასთან. ძირითადი სხვაობა იმაშია, რომ ახალი გზა მოიცავს იმ მონაკვეთებს, რომლებიც განვითარდა და გამოიყენება 1980-ის შემდეგ.
2. გზა მოიცავს, დაახლოებით, 15 კილომეტრიან მონაკვეთს, კახეთის რეგიონში. ბაკურციხის სოფლიდან ჩუმლაყის სოფლამდე, გურჯაანის რაიონში. აღნიშნული მონაკვეთი წარმოადგენს ახმეტა-თელავი-ბაკურციხის შიდა გზას, რომელიც ერთერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გზაა კახეთის რეგიონში. გზა გადის მჭიდროდ დასახლებულ მიდამოებში, სატრანზიტო მოძრაობის მაღალი მაჩვენებლით. აღნიშნულ მონაკვეთზე ფიქსირდება საგზაო შემთხვევების მაღალი მაჩვენებელი. იგეგმება შემოვლითი გზის მშენებლობა, რომელიც დააკავშირებს საერთაშორისო მნიშვნელობის მაგისტრალურ გზას თბილისი-ბაკურციხე-ლაგოდეხი-აზერბაიჯანის საზღვარს, უკვე არსებულ, შიდა, ახმეტა-თელავი-ბაკურციხის გზასთან, რომელიც მოიცავს შემდეგ სოფლებს: ბაკურციხე, კოლაგი, ძირკოკი, ჩანდარი, ვეჯინი და ჩუმლაყი და გურჯაანის ქალაქს (იხ. ნახ. 1).
3. მთლიანი მიწის მოცულობა შეადგენს 199, 171 კვ.მ-ს, 491 ნაკვეთით. საკუთრების მხრივ, აღნიშნული მიწის ნაკვეთები შემდეგი კატეგორიის მიხედვით ნაწილდება:

კატეგორია 1. 129 მიწის ნაკვეთი კერძო საკუთრებაში სრული რეგისტრაციით (62,084 კვ.მ)

კატეგორია 2. 275 მიწის ნაკვეთი კერძო საკუთრების უფლებით, არარეგისტრირებული (130, 363 კვ.მ)

კატეგორია 3. სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 39 მიწის ნაკვეთი, რომელსაც უკანონოდ დაეუფლნენ კერძო პირები (6, 724 კვ.მ)

კატეგორია 4. სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული, გამოუყენებელი 48 მიწის ნაკვეთი (233, 597 კვ.მ).

მესამე კატეგორიის მიწის ნაკვეთი, არ გულისხმობს მიწისთვის კომპენსაციის გადახდას, მხოლოდ დაკარგული აქტივებისთვის (მაგ. ღობეები, მოსავალი და ა.შ.) და განსახლების ან საარსებო საშუალებების აღსადგენად. მეოთხე კატეგორიის მიწის ნაკვეთები არ ექვემდებარება კომპენსაციას.

ზეგავლენის მასშტაბის გათვალისწინებით (350 პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული შინამეურნეობა, 247 მნიშვნელოვნად დაზარალებული პირი და ორი გადასახლებული მაცხოვრებელი), აღნიშნული პროექტი მიეკუთვნება განსახლების „ა“ კატეგორიას.

სააგენტოები და დაფინანსება

პროექტის დამფინანსებელი სააგენტო მსოფლიო ბანკია, ხოლო განმახორციელებელი სააგენტო - საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, საავტომობილო გზების დეპარტამენტი. დეპარტამენტს ძირითადი პასუხისმგებლობა აქვს გზის მშენებლობაზე, ისევე, როგორც განსახლების სამოქმედო გეგმის განხორციელებაზე, დეპარტამენტის, საავტომობილო გზების განვითარების, განსახლებისა და გარემოსდაცვითი განყოფილების ზედამხედველობით. მიწის შესყიდვისა და განსახლების კომისია (LARC) დაეხმარება განსახლების განყოფილებას, მიწის შესყიდვისა და განსახლების (LAR) ყველა აქტივობაში. განსახლების დეპარტამენტი წარმოდგენილი იქნება სამუშაო ჯგუფით, რომლის შემადგენლობაში ასევე იქნებიან საკანონმდებლო, ეკონომიკისა და საინჟინრო კომპეტენციას, გზების დეპარტამენტის სხვადასხვა სამმართველოებიდან. გარდა ამისა, განსახლების განყოფილებას (RU), რაიონულ დონეზე, დახმარებას გაუწევს მიწის შესყიდვისა და განსახლების (LAR) გუნდი, რომელშიც ჩართული იქნება ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობა. ტრანსპორტის რეფორმებისა და რეაბილიტაციის ცენტრი (TRRC) დაფუძნდა დამოუკიდებელ ორგანოდ, მსოფლიო ბანკის მიერ დაფინანსებული პროექტების ფინანსური მართვისთვის. გარდა ამისა, სხვა სახელმწიფო დეპარტამენტები მნიშვნელოვან როლს შეასრულებენ, განსახლების სამოქმედო გეგმის განახლებასა და დანერგვაში.

გზების დეპარტამენტს, პროექტის მშენებლობაში, ექსპლუატაციასა და პროექტირებაში, დახმარებას სხვა სახელმწიფო დეპარტამენტები და კერძო სააგენტოები უწევენ. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო (NAPR), პასუხისმგებელია კანონიერ მფლობელთა საკუთრების უფლებების აღიარებაზე, მიწის საკუთრებაში რეგისტრაციაზე, პროცესების სოფლის თემში, ნოტარიუსში, საკუთრების უფლების აღიარების კომისიისა (PRRC) და საკრებულოში გადამოწმებითა და სერტიფიცირებით.

NAPR-ის რეგიონალური ოფისი პასუხისმგებელია მესაკუთრისგან შესყიდული მიწის სახელმწიფოსთვის გადაცემაზე. ადგილობრივი, რაიონული და სოფლის მთავრობა, ჩართულია დაკანონებას დაქვემდებარებული მიწის ნაკვეთების დაკანონებასა და შემდგომში, მიწის შექმნასა და პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირების განსახლებაში. გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო პასუხისმგებელია გარემოს დაცვის საკითხებზე.

განსახლების სამოქმედო გეგმა (RAP) მოიცავს გზის მონაკვეთს გურჯაანის რაიონში, კახეთის რეგიონი. გურჯაანის საკრებულო, გამგეობა, სარეგისტრაციო სამსახური და საკუთრების უფლების აღიარების კომისია (PRRC) ჩართულები არიან განსახლების სამოქმედო გეგმაში. სოფლების: ბაკურციხე, კოლაგი, ძირკოკი, ჩანდარი, ვეჯინი და ჩუმლაყის გამგეობები, განსახლების სამოქმედო გეგმაში ადგილობრივ დონეზე არიან ჩართულები.

პროექტის სტატუსი

განსახლების სამოქმედო გეგმა (RAP) მომზადდა საკონტრაქტო ხელშეკრულების ხელმოწერის პირობად. იგი მიყვება ტექნიკურ-ეკონომიკურ დასაბუთებას და განსახლების პოლიტიკის ჩარჩო დოკუმენტს (RPF), რომელიც მომზადდა გზების დეპარტამენტის მიერ SLRP III პროექტისთვის და გამოქვეყნდა 2015 წლის დეკემბერში. საჯარო კონსულტაციები ჩატარდა 2015 წლის, 12-13 თებერვალს. დოკუმენტი შეესატყვისება საქართველოს კანონმდებლობას და უზრუნველყოფს მსოფლიო ბანკის OP 4.12-ს, იძულებით განსახლებაზე, ისევე როგორც გზების დეპარტამენტის მიერ 2014 წლის მაისში განახლებულ, განსახლების პოლიტიკის ჩარჩო დოკუმენტს, "SLRP III".

ბაკურციხე-გურჯაანის საგზაო მონაკვეთზე, ბაკურციხის - სოფელ გურჯაანის (**კმ 1.06–კმ 9.00**), ქვემონაკვეთზე, 751, 955 ლარის ოდენობის თანხა გამოიყო მიწის, ქონებისა და შემოსავლის დანაკარგისა და შემდგომი რეაბილიტაციის საკომპენსაციოდ, როგორც გათვალისწინებულია RAP-ში, პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირებისათვის.

ჯამში, 158 შინამეურნეობა (664 ადამიანი) მოექცა ზემოქმედების ქვეშ. კომპენსაციის გადახდა მოხდა 2016 წლის აპრილ-ოქტომბერში.

ეს არის პირველი ანგარიში, რომელიც მოიცავს ბაკურციხე-სოფელ გურჯაანს (**კმ 1.06–კმ 9.00**).

მეთოდოლოგია

სოციალური უსაფრთხოების კონსულტანტმა, დასახული ამოცანის შესრულებისას, შეისწავლა RAP-ი, ყურადღებით მიმოიხილა პროექტის განმახორციელებელი ორგანოს

(PIU) აქტივობები RAP-ის დანერგვის პროცესში და მათი შესაბამისობის დონე, მსოფლიო ბანკის OP 4.12 -ის (იძულებითი განსახლების პოლიტიკა) რეგულაციებთან.

სოციალური უსაფრთხოების კონსულტანტმა შეისწავლა კერძო მფლობელობაში მყოფი მიწის ნაკვეთების საკუთრების უფლების რეგისტრაციის პროცესი, პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული შინამეურნეობა (AH) და შეამოწმა მისი შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან. სოციალური უსაფრთხოების კონსულტანტმა შეაფასა ინსტიტუციური მექანიზმები და ადგილობრივი ხელისუფლების დონე, პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირების/მეურნეობების წახალისება, განსახლების სამოქმედო გეგმაში მონაწილეობისთვის. კერძოდ, მიზნობრივი შეხვედრები ადგილობრივ მოსახლეობასთან და საზოგადოების ინფორმირება. RAP -ის შედეგების შესაბამისად, პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ პირთა კმაყოფილების დონის განსაზღვრის მიზნით, სოციალური უსაფრთხოების კონსულტანტი შეხვდა პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული შინამეურნეობის ადგილობრივ მოსახლეობას და გამოიკითხა 25% (40 პირი). განხილვის შედეგი და შეხვედრილი მოსახლეობა მოცემულია მე-3 დანართში.

სოციალური უსაფრთხოების კონსულტანტმა შეამოწმა დაკარგული აქტივების ინვენტარიზაცია და კომპენსაციის პაკეტის კალკულაციის სამართლიანობა; მიმოიხილა განსახლების განმახორციელებელი ორგანოს სამუშაო, კომპენსაციის გაცემისას, RAP-ით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების მიხედვით. მოხდა საჩივრების განხილვა და საჩივრების განხილვის მექანიზმის ეფექტურობის შეფასება. ჩატარებულ კვლევებზე დაყრდნობით მიღებული ინფორმაციის ანალიზზე დაყრდნობით, სოციალური უსაფრთხოების კონსულტანტმა მოამზადა საჩივრის საბოლოო ანგარიში.

აღნიშნული მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად და RAP -ის კომპლექსური მონიტორინგის ჩასატარებლად, სოციალური უსაფრთხოების კონსულტანტმა იხელმძღვანელა სპეციალურად შემუშავებული წინასწარი სამოქმედო გეგმით, რომელიც მოიცავს სამუშაოების კომპლექსს. სოციალური უსაფრთხოების კონსულტანტის მიერ ჩატარებული თითოეული სამუშაო ემსახურებოდა სპეციალურ შედეგს და რეალისტური, სანდო და ხელშესახები საპასუხო რეაქციის უზრუნველყოფას. კონსულტანტმა გამოკითხვა ჩაატარა პროექტის მონაკვეთის ფარგლებში, მიწის შესყიდვასა და განსახლების სამოქმედო გეგმის განხორციელებასთან დაკავშირებული დოკუმენტური მასალების შესწავლის შემდეგ. სოციალური უსაფრთხოების კონსულტანტი შეხვდა ადგილობრივ მოსახლეობას (ჩაატარა მცირე ჯგუფური განხილვები) და ადგილობრივ მთავრობას. მოპოვებული ინფორმაციის უტყუარობა და სისწორე ადგილზე გადამოწმდა.

სოციალური უსაფრთხოების კონსულტანტის დასკვნები და შეფასებები

RAP-ის განხორციელების პირობების შეფასება

პროექტის ზემოქმედების ფაქტიური მასშტაბის განსაზღვრა

პროექტის ზეგავლენა - მიწის, ნაგებობის და სხვა აქტივების დაკარგვა, გურჯაანის რაიონის, (კახეთის რეგიონი), 8.0 კმ მონაკვეთზე. კომპენსაციისა და რეაბილიტაციის ზომები სწორედ ამ ზეგავლენის გათვალისწინებით შემუშავდა. ყველა გავლენის დეტალური აღწერა მოხდა საბოლოო შეთანხმების კვალდაკვალ, შემოვლითი გზის დეტალური საპროექტო დოკუმენტის შესაბამისად.

გაციფრებული საკადასტრო რუქების შეგროვება მოხდა NAPR-ის გურჯაანის სარეგისტრაციო ოფისიდან. გზის მიმართულების საბოლოო მიმართულება დადგინდა გაციფრებული საკადასტრო რუქის მიხედვით და მიწის ტოპოგრაფიული აზომვით, DGPS-ის გამოყენებით, ჩატარდა ზემოქმედება მოხდენილი მიწის ნაკვეთების იდენტიფიკაცია, მიწის ნაკვეთების დემარკაცია, გეომეტრიულ დეტალებში კორექციის ჩათვლით და მიწის ნაკვეთების რაოდენობრივი აღრიცხვა, ზემოქმედება მოქცეული მიწის მონაკვეთების ჩათვლით. საკადასტრო დეტალებით მიწის ტოპოგრაფიული აზომვით, დეტალური აზომვის კვლევა (DMS) და პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირების აღწერა ჩატარდა მიწის ნაკვეთებისა და მათ მფლობელთა/მოსარგებლეთა 100%-ზე. აღნიშნული კვლევა დაიწყო 2015 წლის 14 თებერვალს და დასრულდა 2015 წლის 4 მარტს. დამატებით ჩატარდა შინამეურნეობის 20%-ის

სოციალურ-ეკონომიკური კვლევა, პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ მიდამოებში, რომ მომხდარიყო AP-ს სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაგება. DMS/AP-ს აღწერის დაწყების დღედ მიიჩნევა კომპენსაციაზე უფლებამოსილების მოჭრის თარიღი, რომელიც, ამ შემთხვევაში, არის 2015 წლის 14 თებერვალი.

მიწის შესყიდვისა და განსახლების გავლენის მინიმუმამდე დაყვანა

RAP-ით დადგენილი ზემოქმედებით, **ბაკურციხე-გურჯაანის სოფლის (კმ 1.06–კმ 9.00)** გზის ქვემონაკვეთი ჯამში, 181-მდე ნაკვეთს მოიცავს (92, 356 კვ.მ), რომელიც გურჯაანის რაიონში მდებარეობს.

დარჩენილი 181 მიწის ნაკვეთიდან (92, 356 კვ.მ), რომელიც კერძო საკუთრებაში/გამოყენებაშია, RAP-ის დროს გარკვეული ინფორმაცია გადამოწმდა. საგზაო დერეფნის მიმართულების დადგენისას, 2 (2) მიწის ნაკვეთი განთვისების ზოლს (ROW) მიღმა აღმოჩნდა.

შედეგად, ზემოქმედების ქვეშ მოქცეული მიწის ნაკვეთების საბოლოო რიცხვი, რომელიც შესყიდვას ექვემდებარებოდა, RAP -ის პროექტის ფარგლებში, შეადგენს 181 (2 მინიმიზაცია, 19 მიწის ნაკვეთი წინასწარი თანხმობით) კერძო საკუთრებაში/მოხმარებაში მყოფ მიწის ნაკვეთს (92 356 კვ.მ).

ქვემოთ მოცემული ცხრილი 1 გვიჩვენებს პროექტის ზემოქმედების მინიმიზაციას და RAP-ის ზემოქმედების მასშტაბის შედარებით ანალიზს, RAP-ის განხორციელების ფაქტიურ ზემოქმედებასთან.

კერძოდ, შესყიდვას დაქვემდებარებული მიწის ნაკვეთების რაოდენობა (კვ.მ-ში) და კომპენსაციის უფლების მქონე AH-ების რაოდენობა, RAP-ით განსაზღვრული სტანდარტითა და შეფასების შედეგით, რომელიც გაკეთდა RAP-ის ფაქტიური განხორციელების შემდეგ.

ცხრილი 2. თავდაპირველი RAP-ისა და ფაქტიურად განხორციელებული RAP-ის ზემოქმედების მასშტაბის შედარება

AH-ების რაოდენობა	ჯამი (კვ.მ.)	რაოდენობა	პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული მიწის ნაკვეთის ტიპი
			RAP-ის ფარგლებში დაგეგმილი
137	84393	156	კერძო საკუთრებაში მყოფი მიწის ნაკვეთი
25	7 963	25	კერძო გამოყენებაში მყოფი სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი
162²	92 356	181	სულ
			ფაქტიური განხორციელება
160	92 320	179	მიწის ნაკვეთები სულ
2	36	2	მინიმიზაციის ქვეშ მყოფი მიწის ნაკვეთები
162³²	92 356	181	სულ

² რამოდენიმე HH-ის მფლობელობაში/გამოყენებაში ერთზე მეტი მიწის ნაკვეთია, შესაბამისად, AP-ების რაოდენობა PA მიწის ნაკვეთის ერთეულზე ნაკლებია.

დასკვნა: პროექტის ზეგავლენის საერთო მოცულობა დავიდა მიწის ნაკვეთისა და მათი მფლობელი AH-ების ნაკლებ რაოდენობამდე.

ცხრილი 3. ზემოქმედების ცხრილის მიმოხილვა

გადახდილი კომპენსაცია	დაგეგმილი კომპენსაცია	ზემოქმედების ტიპი
278 378	325895.5	მიწის კომპენსაცია
8 982	9291	კომპენსაცია შენობებისთვის
55 818	10 354	კომპენსაცია ერთწლიანი ნარგავებისთვის
8 370	79 075,5	კომპენსაცია სოც.დაუცველი შინამეურნეობისთვის
104 160	41 462	კომპენსაცია მძიმე ზემოქმედებისთვის
12 158	13 512	კომპენსაცია რეგისტრაციისთვის
756 561	777 485	კომპენსაცია მრავალწლიანი ნარგავებისთვის
1 224 427	1 257 075.5	ჯამი

კომპენსაციის გაწევის შეფასება

პროექტის ზემოქმედების 100%-იანი ინვენტარიზაციის შედეგად, RAP-მ განსაზღვრა, რომ დაკარგული აქტივები და შემოსავლი ფულად კომპენსაციას უნდა დაექვემდებაროს.

დამტკიცებულმა RAP-მ მკაფიოდ განსაზღვრა შემოსავლისა და აქტივების ტიპი, რომლის დაკარგვაც მოხდა პროექტის ზეგავლენის შედეგად. იგი მოიცავს შემდგომს:

1. მიწა
2. შენობა-ნაგებობები
3. ერთწლიანი ნარგავები
4. მსხმოიარე მრავალწლიანი ნერგები
5. სარეაბილიტაციო ზომები (ფულადი კომპენსაცია სოც.დაუცველი ოჯახებისა და მიწის ნაკვეთებისთვის, რომლებზეც მძიმე ზემოქმედება იქონია პროექტმა)

კომპენსაციის მიღების უფლება

დამტკიცებული RAP-ის თანახმად, კომპენსაციის მიღების უფლების მქონე AP-ები ან, სულ მცირე, რეაბილიტაციის მიღებას დაქვემდებარებულები, არიან:

1. ყველა AP-ები, რომლებიც კარგავენ მიწას, ლეგალური სტატუსით/მიწით სარგებლობის ტრადიციული უფლებით, რომელიც ლეგალიზებადია, თუ ლეგალური სტატუსის გარეშე;
2. რეგისტრირებული თუ არარეგისტრირებული მაცხოვრებლები;
3. შენობების, მოსავლის, ნარგავების ან მიწასთან დაკავშირებული სხვა ობიექტების მფლობელები;
4. AP-ები, რომლებიც კარგავენ ბიზნესს, შემოსავალსა და ხელფასს.

კომპენსაციის უფლებამოსილების მოჭრის თარიღად მიიჩნევა AP-ს აღწერის დღე (2015 წლის 14 თებერვალი) და DMS.

კომპენსაცია მიწის სამუდამო დაკარგვისთვის

დამტკიცებული RAP-ის შესაბამისად, ფულადი კომპენსაცია მიწის სრული ღირებულების ადგილმდებარეობით ჩასანაცვლებლად, საბაზრო ღირებულების შესაბამისად განისაზღვრა იმ მფლობელებისთვის, ვისაც სრული რეგისტრაცია აქვთ. აღნიშნული მიდგომა გამოყენებულ იქნა როგორც სასოფლო-სამეურნეო, ისე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მქონე მიწის მუდმივი დაკარგვისთვის. თუმცა, RAP-ის მიხედვით, განსახლებაზე კომპენსაციის უფლებამოსილება იმ AP-ს აქვთ, რომელთაც მფლობელობაში აქვთ PA მიწის ნაკვეთები, ვალიდური სახელწოდებისა და ლეგალიზებადი მესაკუთრის გარეშე.

RAP-ის განსაზღვრებით, მიწის საკომპენსაციო თანხა შესაბამისობაშია მიწის საბაზრო ღირებულებასთან და ასევე, დამატებით ითვალისწინებს შესაძლო დამატებით ხარჯებს

ტრანზაქციისთვის, როგორცაა რაიონის საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოსა და საკუთრების უფლების აღიარების სააგენტოში რეგისტრაცია. მიწის საბაზრო ღირებულება დადგინდა მიწის ტიპის, სავარაუდო გამოყენებისა და ლოკაციის მიხედვით.

სასოფლო-სამეურნეო მიწის კომპენსაცია განისაზღვრა პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ადამიანების საპასუხო რეაქციითა და დამოუკიდებელი შეფასებით. მიწა იყოფა ორ კატეგორიად: სასოფლო-სამეურნეო და კომერციული. ამ მონაკვეთში მოყოლილი ყველა მიწა არის სარწყავი.

ლეგალიზაციისა და ნარჩენი მიწის ღირებულება, რომელიც კულტივაციისთვის გამოუყენებელია, შედის ხარჯებში. სხვადასხვა კატეგორიის დაკარგული მიწის ღირებულება მოცემულია მე-2 ცხრილში.

ცხრილი 4. მიწის ნაკვეთების შესყიდვის ღირებულება

კომპენსირებადი მიწის ნაკვეთი			
129	რაოდენობა	კატეგორია 1. კერძო საკუთრებაში არსებული ნაკვეთები (ლეგალიზებული)	1
62084	კვ. მ		
100	AH		
275	რაოდენობა	კატეგორია 2. კერძო, საკუთრების უფლებით არარეგისტრირებული ნაკვეთები (ლეგალიზებადი)	2
130363	კვ.მმ		
241	AH		
404	რაოდენობა	ქვეჯამში კომპენსირებადი მიწის ნაკვეთები	
192447	კვ. მ		
არაკომპენსირებადი მიწის ნაკვეთი			
39	რაოდენობა	კატეგორია 3. სახელმწიფო საკუთრებაში არსებული, კერძო პირის მიერ არალეგალურად გამოყენებული (არალეგალიზებადი)	3
6724	კვ. მ		
36	AH		

48	რაოდენობა	კატეგორია 4. სახელმწიფო საკუთრებაში, არ გამოიყენება კერძო პირის მიერ	4
233597	კვ. მ		
0	AH		
87	რაოდენობა	არაკომპენსირებადი მიწის ნაკვეთების ქვეჯამი	
240321	კვ. მ		
491	რაოდენობა	ჯამი	

სოციალური უსაფრთხოების კონსულტანტმა მიმოიხილა ჩამოანთვალნი, სადაც აღწერილია პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული მიწის ნაკვეთები და გამოყოფილი ბიუჯეტი. კონსულტანტმა შეამოწმა გაყიდვებისა და კომპენსაციის ყოველი შეთანხმება, რომელიც გაფორმდა გზების დეპარტამენტსა და ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ პირებს შორის, რომ დარწმუნებულიყო, რომ კომპენსაცია დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამისად გაიცა.

დასკვნა: სათანადო ხელშეკრულებები შემუშავდა პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ 135 (2 მიწის ნაკვეთი მინიმიზაციის ქვეშაა, 25 - სახელმწიფო საკუთრებაში, კერძო პირის მიერ გამოყენებადი, 19 მიწის ნაკვეთი მეპატრონეებთან წინასწარი მოლაპარაკების პროცესშია) მიწის ნაკვეთის მფლობელთან (ან მფლობელის კანონიერ წარმომადგენელთან). ფულადი კომპენსაცია გაიცა საბაზრო ფასის შესაბამისად, როგორც განისაზღვრა დამტკიცებულ RAP-ში და შეთანხმებაში, სახელმწიფოს მხრიდან, საავტომობილო გზების დეპარტამენტსა და PA-ებს შორის.

მიწის კომპენსაციისა და რეაბილიტაციის თანხის შეთანხმების ხელმოწერა მოხდა 135 კერძო სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთზე, ჯამური ღრებულებით - 278 378 ლარი, რომელიც გადახდილ იქნა მიწაზე. სახელმწიფო საკუთრებაში მყოფი 25 მიწის ნაკვეთით მოსარგებლემ ფულადი ანაზღაურება მიიღო მოსავლის, მრავალწლიანი ნარგავების, მძიმე ზემოქმედებისა და სოციალური დაუცველობისთვის.

საავტომობილო გზების განმახორციელებელი ორგანოს (RD IA) მიერ AP-ების დახამრება ლეგალიზაციის პროცესში

RAP -ი განმარტავს საკუთრების უფლების საწყისი რეგისტრაციის პროცედურის სისწორესა და სიზუსტეს, როგორც აუციელებელ პირობას, უძრავი ქონების

ნებაყოფლობითი შესყიდვის ან სავალდებულო ექსპროპრიაციისთვის. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 312-ე მუხლის თანახმად, რეესტრის მონაცემების მიმართ მოქმედებს უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფცია, ე.ი. რეესტრის ჩანაწერები ითვლება სწორად, ვიდრე არ დამტკიცდება მათი უზუსტობა. შესაბამისად, რეესტრში არსებული უზუსტო ინფორმაცია უნდა ჩასწორდეს.

RAP-ის განხორციელების პროცესში, პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეულმა მიწის მფლობელებმა მოახდინეს მათი მიწის ნაკვეთების ზედმიწევნითი დემარკაცია და ლეგალიზაცია, შესაბამისი პროცედურებით. მიწის მფლობელებმა, საკუთრების დამადასტურებელი და მიწის აღწერითი, საკადასტრო რუქით, ზედმიწევნითი კვლევითი მონაცემების დოკუმენტებით, მიმართეს საჯარო რეესტრს.

როგორც გათვალისწინებულია RAP-ში, გზების დეპარტამენტის პროგრამის განმახორციელებელმა უწყებამ ყველა AP-ს წარუდგინა ახალი კვლევის საკადასტრო რუქები, რომელიც სრულად უფასოდ მოიცავს ყველა საჭირო ინფორმაციას. შემდეგ AP-მა მიმართეს საჯარო რეესტრს, გაიარეს საჭირო პროცედურები და განაახლეს რეგისტრაცია, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

გარდა ამისა, ცალკეული მიწის დაკავების შემთხვევაში, ზოგიერთი მიწის ნაკვეთი ექვემდებარება დაყოფას და საჯარო რეესტრში რეგისტრაციას. კანონმდებლობა განსაზღვრავს ფიქსირებულ საფასურს დანაყოფის რეგისტრაციაზე. ყველა AP-ები, ვინც მიწის ნაკვეთის დაყოფა მოახდინა, მიწის დაკარგვაზე ფულად კომპენსაციასთან ერთად მიიღო რეგისტრაციის თანხა (102 ლარი).

ცხრილი 5. RAP-ის განხორციელების შედეგებისა და ლეგალიზაციის პროცედურების სტატუსის ასახვა

შენიშვნა	რაოდენობა	Item
	181	PA მიწის ნაკვეთების ჯამი (დაგეგმილი) მათ შორის:
კერძო საკუთრებიდან სახელმწიფო საკუთრებაში გადასვლა	135	მიწის შესყიდვის დასრულება
	25	სახ.საკუთრებაში, კერძო პირთა მიერ არალეგალურად ოკუპირებული (არა ლეგალიზებული)
	2	მიწის ნაკვეთის/ების

		მინიმიზაცია
	179	PA მიწის ნაკვეთების სრული რაოდენობა (ფაქტობრივი)
	0	განსასაზღვრია მემკვიდრეობა
	0	სასამართლო დავა
(მიწის ზოგიერთ მესაკუთრეს ფინანსური პრობლემა აქვს (სესხი), დანარჩენებს სჭირდებათ 6 თვე მემკვიდრეობის მისაღებად, ან სჭირდებათ დრო, მიწის რეგისტრაციისთვის საჭირო დოკუმენტების მოსამზადებლად)	19 ⁴	დაუსრულებელი საკითხები

სოციალური უსაფრთხოების კონსულტანტის კვევასა და მიმოხილვაზე დაყრდნობით, ფაქტიური გარემოებების გათვალისწინებით და RAP -ის განვითარების პროცესში საჭირო ინფორმაციის შეგროვებაზე მომუშავე ჯგუფისგან მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, სოციალური უსაფრთხოების კონსულტანტმა დაუშვა, რომ RAP-ში 104 მიწის ნაკვეთთან მიმართებით ტერმინის - „ლეგალიზებადი“ - გამოყენება განაპირობა მარტივმა ფაქტობრივმა დეტალებმა. კერძოდ, აღწერისა და ინტერვიუს დროს, აღნიშნული 104 მიწის ნაკვეთის მფლობელმა ვერ წარმოადგინა მათი სახელწოდებების დედნები. თუმცა, მათი საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტაცია მოიძებნა საჯარო რეესტრის რაიონულ ოფისში.⁵ ამასთან, არცერთ მათგანს არ აქვს პრობლემა რეესტრიდან აღნიშნული დოკუმენტის განახლების, ფულადი კომპენსაციის მისაღები შეთანხმების დადებამდე.

⁴ მრავალი სარეგისტრაციო სირთულის გამო, წინასწარი შეთანხმება გაფორმდა 19 მიწის ნაკვეთის მფლობელთან. (15 დაზარალებული შინამეურნე). შეთანხმების ხელმოწერის მიზეზი არის, AHH-თვის საკმარისი დროის მიცემა, სარეგისტრაციო, სარეაბილიტაციო, მემკვიდრეობითი და მსგავსი პრობლემების მოსაგვარებლად. წინასწარი შეთანხმების თანახმად, მფლობელი გზების დეპარტამენტს ნებას რთავს, მის მიწის ნაკვეთზე დაიწყო სამოქალაქო სამუშაოები. (გთხოვთ ბმულში (დანართი 3) იხილოთ წინასწარი შეთანხმების ხელმოწერილი. AHH-თვის სრული კომპენსაციის გადაცემა მოხდება მიწის რეგისტრაციის შემდეგ.

⁵ 1999-2000 წლებში საქართველოს მთავრობამ საერთაშორისო დონორების მიერ დაფინანსებული პროექტების საშუალებით, მიღება-ჩაბარების აქტების (1994-1996) ან ადგილობრივი სადაგასახადო სამსახურების მიერ გაცემულ გადასახადის გადამხდელთა სიების საფუძველზე ადგილობრივი მოსახლეობისთვის უფასოდ გადანაწილებული სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთების მფლობელობის სისტემატიური რეგისტრაციის ინიცირება მოახდინა. USAID-ის მიწის ბაზრის რეფორმის პროექტი (1997-2002) მოიცავდა შიდა ქართლის რეგიონს.

დასკვნა: არცერთ AP-ს არ ესაჭიროებოდა ლეგალიზაციის პროცედურის მიღება, ლეგალიზაციის კომისიის მეშვეობით, მათი რეგისტრაციის ზუსტი მონაცემებით განსაზღვრულად და საჯარო რეესტრისგან ამონაწერის მისაღებად. გზების დეპარტამენტის განხორციელების სააგენტომ, 104-ვე მიწის ნაკვეთის მფლობელს დახმარება აღმოუჩინა საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტაციის განახლებაში, ფულადი კომპენსაციის მისაღები შეთანხმების დადებამდე, საკადასტრო რუქის დეტალური კვლევისა უფასოდ გავრცელების მეშვეობით.

ფულადი კომპენსაცია ნაგებობებისა და ბიზნესის დაკარგვისათვის

ბაკურციხე- სოფ. გურჯაანის ქვე-მონაკვეთის (კმ1.06-კმ9.00) მშენებლობის ზემოქმედების ქვეშ მოექცევა 4 ღობე/დამხმარე შენობა-ნაგებობა, რომელიც არის პზქმ 4 ოჯახის საკუთრებაში. მფლობელებისათვის ფულადი კომპენსაციის დაანგარიშება მოხდება ნაგებობის მშენებლობის ტიპის, მასალების ღირებულების, მუშა-ხელის ხელფასების, ტრანსპორტისა და სხვა დამატებითი ხარჯების საფუძველზე.

ქვევით მოცემულ ცხრილში აღწერილია ნაგებობების სახეობა, რომელზეც განხორციელდა კომპენსაცია. სვეტი „RAP-ის ბიუჯეტი“ ასახავს ფულადი კომპენსაციისათვის გამოყოფილ თანხას. შემდეგ სვეტში „ფაქტიური გადახდა“ ნაჩვენებია ის თანხები, რომელიც პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეულმა პირებმა მიიღეს რეალურად.

ცხრილი 6. შენობა-ნაგებობების დაკარგვით გამოწვეული ფულადი საკომპენსაციო თანხების შედარება

გადახდილი თანხა	ფაქტიური გადახდა	RAP-ის ბიუჯეტი	
8982	4 ქეისი (8982 ლარი)	5ქეისი (9291 ლარი)	ნაგებობების რაოდენობა
0	0	0	ჭები
8982	4 cases (8982ლარი)	5 ქეისი (9291 ლარი) 3	ღობეები
0	0	0	დამხმარე ნაგებობები
8 982 ლარი	8 982 ლარი	9291 ლარი	თანხა (ლარი)

ვინაიდან ნაგებობები არის უძრავი ქონება, რომელიც განთავსებულია მიწის ნაკვეთზე, ნაგებობების ფულადი კომპენსაციის თანხა გათვალისწინებულია ერთ ნასყიდობის ხელშეკრულებაში საგზაო პროექტის საჭიროებისთვის მიწის შესყიდვასთან ერთად.

მთლიანი პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ტერიტორიის ფარგლებში არის 4 მიწის ნაკვეთი მასზე განთავსებული ნაგებობებით (ეს ნაგებობები არის ღობეები).

კანონის თანახმად, მიწების შესყიდვის პროცედურების მსგავსად, ნაგებობების კომპენსაციის მიზნით საავტომობილო გზების დეპარტამენტმა შეისყიდა აღნიშნული ნაგებობა ნასყიდობის ხელშეკრულების საშუალებით, რომელიც გააფორმა მიწისა და უძრავი ქონების მფლობელთან (მფლობელის კანონიერ წარმომადგენელთან).

ერთწლიანი ნარგავების კომპენსაცია

ცხრილი 7. ერთწლიანი მოსავალის ფულადი კომპენსაციის თანხების შედარება

ერთ. ფასი (განხორციელების პერიოდში ერთ. ფას. შეიცვალა)	ფაქტიური გადახდა	ერთეულის ფასი (საშუალო)	RAP-ის ბიუჯეტი	
930.3 ლარი	60	0.24 ლარი	61	PA მიწის ნაკვეთების რაოდენობა
	55,818		9 121	თანხა (ლარი)

ერთწლიანი ნარგავების ფულადი კომპენსაცია სრულად გადახდილია პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ყველა პირისათვის RAP-ის ბიუჯეტით გათვალისწინებული ერთეულის ფასისა და თანხების შესაბამისად.

მრავალწლიანი ნარგავების კომპენსაცია

RAP-ის თანახმად, მრავალწლიანი ნარგავებისა და მსხმოიარე ხეების კომპენსაციის კალკულაციის მეთოდი განისაზღვრა მერქნიანი ხეებისა და ნაყოფის მომცემი ხეების სხვადასხვა მეთოდების საფუძველზე. მერქნიანი ხეები შეფასდა მათი ზრდის კატეგორიისა და შეშის ფასის მიხედვით, თუ რა ასაკში მოხდა ხის მოჭრა. ხეხილის ხეების კომპენსაცია მოხდა განსხვავებულად, იმის მიხედვით ისინი არიან მსხმოიარენი თუ ჯერ არა. ნაყოფიერი ხეების კომპენსაცია მოხდა შემოსავლის დაკარგვის გათვალისწინებით, რომელიც დაანგარიშდა იმდენ წელიწადზე, რამდენიც საჭიროა ხის თავიდან გასაზრდელად იმ პოტენციური ასაკის/ნაყოფიერების მისაღწევად, რომელშიც ის იქნა მოჭრილი. არამსხმოიარე ხეების კომპენსაცია მოხდა იმ ინვესტიციის საფუძველზე, რომელიც განხორციელდა ხის იმ ასაკამდე გაზრდისათვის, რომელშიც

მოხდა მისი მოჭრა.

RAP-ის მიხედვით, პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ყველა პირი, განურჩევლად იურიდიული სტატუსისა (მათ შორის ლეგალიზებული და არაფორმალური მოსახლეები) უფლებამოსილია ფულად კომპენსაციაზე საბაზრო განაკვეთის გათვალისწინებით მსხმოიარე ხეების ტიპის, ხანდაზმულობის და ნაყოფიერების საფუძველზე. საგზაო პროექტის ზემოქმედების ქვეშ ექცევა 131 მიწის ნაკვეთი ხეებით (მსხმოიარე), რომლებიც არის შინამეურნეობების კერძო მფლობელობაში.

ცხრილი 8. მრავალწლიანი ნარგავების დაკარგვით გამოწვეული ზარალის ფულადი კომპენსაციის შედარება

ფაქტიური გადახდა	RAP-ის ბიუჯეტი	
131	155	პუქ მოქცეული მიწის ნაკვეთების რაოდენობა, რომელზეც არის განთავსებული მრავალწლიანი ნარგავები
756 561	777 485	თანხა (ლარი)

დასკვნა: განხორციელდა პუქ მოქცეული ყველა ერთწლიანი ნარგავებიანი მიწის ნაკვეთის ინვენტარიზაცია. თუმცა, გამოვლინდა მიწის ნაკვეთები ერთწლიანი ნარგავებით, რომლებიც აღირიცხა საგზაო პროექტისათვის საჭიროდ. ერთწლიანი ნარგავების დაკარგვისათვის სათანადო ფულადი კომპენსაცია გადახდილი იქნა RAP-ის მიხედვით.

მოწყვლადი ჯგუფების უფლებამოსილება კომპენსაციაზე

თავდაპირველი RAP-ის ფარგლებში, სოციალურ-ეკონომიკური კვლევის შედეგების თანხმად, პროექტის არეალში მოხვედრილი 158 შინამეურნეობიდან, 85 ოჯახი იქნა კლასიფიცირებული როგორც მოწყვლადი. გსგ-ს თანახმად, ეს ოჯახები არიან სიღარიბის ზღვარს ქვევით.

RAP-ი უზრუნველყოფს მოწყვლადი ჯგუფებისათვის ერთჯერადი შემწეობის გამოყოფას, რომელიც უდრის 3 თვის მინიმალურ ხელფასს. ე.ი. 310 ლარი X 3 თვეზე, რაც შეადგენს 930 ლარს თითოეულ ოჯახზე.

ამიტომ, ფაქტიურად განხორციელებული RAP-ის მიხედვით, პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ ყველა ოჯახს მიეცა ფულადი კომპენსაცია RAP-ის განხორციელების პროცესში.

ცხრილი 9. პროექტის ზემოქმედების არეალში მოქცეული მოწყვლადი ოჯახების ფაქტიური უფლებამოსილება კომპენსაციაზე

კომპენსაციის საერთო თანხა (ლარი)	კომპენსაციაზე უფლებამოსილი ოჯახების რაოდენობა	საკომპ. უფლებამოსილების განაკვეთი (ლარი)	მოწყვლადი ოჯახების რაოდენობა
79075,5	85	930	RAP-ს ფარგლებში დაგეგმილი
8370	9	930	რეალურად პზქ მოქცეული ოჯახები

დასკვნა: პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ ყველა მოწყვლად პირს მიეცა ფულადი კომპენსაცია 930 ლარი/ოჯახზე ოდენობით, როგორც ეს გათვალისწინებული იყო RAP-ის საკომპენსაციო უფლებამოსილების მატრიცით.

კომპენსაციის უფლებამოსილება ძლიერი ზემოქმედების შემთხვევებში

დამტკიცებული RAP-ის თანახმად, პროექტის ზემოქმედების არეალში, ე.ი. ბაკურციხე-სოფელი გურჯაანის (კმ 1.06 -კმ 9.00) ქვე-მონაკვეთზე განთავსებული მიწის ნაკვეთებიდან სულ 181 ნაკვეთი (158 ოჯახი) განიცდის ძლიერ ზემოქმედებას (შემოსავლის 10%-ზე მეტის დაკარგა). უფლებამოსილების მატრიცის შესაბამისად, იმ მიწის ნაკვეთების მეპატრონეები, რომლებმაც განიცადეს ძლიერი ზემოქმედება უფლებამოსილი არიან მიიღონ დაკარგულ მიწაზე დამატებითი 2 წლიანი მოსავლის ყოველწლიური კომპენსაცია, ან 3 თვის მინიმალური ხელფასი 310 ლარი X 3=930 ლარი (დეპარტამენტმა გადაწყვიტა ძლიერი ზემოქმედების ქვეშ მოქცეული მიწის მეპატრონეებისათვის გადაეხადა 3 თვის მინიმალური ხელფასი).

ცხრილი 10. პროექტის ზემოქმედების არეალში მოქცეული ძლიერი ზემოქმედებების შემთხვევების ფაქტიური უფლებამოსილება

კომპენსაციის საერთო თანხა	პზქ მოქცეული ნაკვეთების	ძლიერი ზემოქმედებისათვის კომპენსაციის უფლებამოსილება
---------------------------	-------------------------	--

(ლარი)	რაოდენობა, რომელთაც ეკუთვნით კომპენსაცია	
41 462	81	ბაკურციხე-სოფელი გურჯაანის (კმ 1.06 -კმ 9.00) მონაკვეთზე RAP-ის ფარგლებში დაგეგმილი
104 160	113	ფაქტიური განხორციელების თარიღი:

დასკვნა: ძლიერი ზემოქმედების ყველა შემთხვევა - 98 ოჯახის მფლობელობაში არსებული 113 მიწის ნაკვეთი კომპენსირებული იქნა სრულად, როგორც ეს გათვალისწინებულია RAP-ის უფლებამოსილების მატრიცით.

ცხრილი 8. ფულადი კომპენსაციის სრული პაკეტის შედარება

ფაქტიური გადახდები (საკომპენსაციო პაკეტი სულ)		RAP-ის ბიუჯეტი (საკომპენსაციო პაკეტი სულ)	
დაუსრულებელი გადახდები/მინიმუ ნამდე დაყვანა	გადახდილი კომპენსაციე ბი		
2+19=21	160	181187	პზე მოქცეული ნაკვეთების რ-ბა
68 595	1 224 427	1 257 075	თანხა ლარებში
1 293 022		1 257 075	სულ

დასკვნა: დღემდე, საკომპენსაციო ხელშეკრულებები ფორმდება მიწის ნაკვეთების/მოსარგებლების ან მათი კანონიერი წარმომადგენლის მონაწილეობით და საკომპენსაციო თანხები ირიცხება სახელმწიფო ხაზინიდან პირად საბანკო ანგარიშებზე როგორც ნასყიდობის/საკომპენსაციო ხელშეკრულებებშია განსაზღვრული. პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული 160 მიწის მესაკუთრის/მომსარგებლის (გარდა დაუსრულებელი საკითხებისა და მინიმუმამდე დაყვანის შემთხვევებისა) საკომპენსაციო უფლებამოსილება სრულად განხორციელდა საქართველოს კანონმდებლობისა და მსოფლიო ბანკის სოციალური უსაფრთხოების კონსულტანტის მითითებების შესაბამისად.

საზოგადოების კმაყოფილების ხარისხის შეფასება

საჯარო შეხვედრები და საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება პროექტის მიზნებსა და ამოცანებზე.

RAP-ის განხორციელების პროცედურებთან დაკავშირებული დოკუმენტების განხილვისას, სოციალური უსაფრთხოების კონსულტანტმა გაითვალისწინა კომპენსაციაზე უფლებამოსილების მოჭრის თარიღი.

ფაქტი, რომ არცერთი შეჭრის შემთხვევა არ გამოვლენილა მონიტორინგის პროცესში, რაღაც მხრივ ამტკიცებს, რომ ადგილობრივი მოსახლეობა კარგად იყო ინფორმირებული პუბლიკური პირების უფლებებსა და პასუხისმგებლობებზე, ისევე როგორც კომპენსაციაზე უფლებამოსილების მოჭრის თარიღზე.

მონიტორინგის დროს, სოციალური უსაფრთხოების კონსულტანტს ჰქონდა შესაძლებლობა გასაუბრებოდა რამოდენიმე ადგილობრივ პირს, რომლებსაც არ ეკუთვნოდათ ფულადი კომპენსაცია, ვინაიდან ისინი არ მოხვდნენ პროექტის ზემოქმედების არეალში. მეტწილად, თანამოსაუბრეების პასუხებში გამოკვეთილი იყო ადგილობრივი მოსახლეობის დადებითი დამოკიდებულება და მოლოდინები, კერძოდ კი გზების მშენებლობის დროს პოტენციური დასაქმება, რეგიონში ეკონომიკური განვითარებისა და საგზაო უსაფრთხოების გაუმჯობესების შესაძლებლობა.

ველზე ჩატარებული გასაუბრების შედეგად, სოციალური უსაფრთხოების კონსულტანტმა გამოავლინა, რომ ადგილობრივი თემებისა და სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლებისათვის უზრუნველყოფილი იყო კონსულტაციები, საჯარო შეხვედრები, ფორმალური და არაფორმალური დისკუსიები, როგორც ეს გათვალისწინებული იყო RAP-ით.

მონიტორინგის პროცესში, სოციალური უსაფრთხოების კონსულტანტმა გამოარკვია, რომ **ბაკურციხე-სოფ. გურჯაანის (კმ1.06-კმ9.00)** მონაკვეთთან დაკავშირებით, ხალხთან კონსულტაცია ხდებოდა ინდივიდუალურად ალწერისა და აზომვების დროს ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის ფარგლებში, რადგან გამოვლენილიყო პუბლიკური პირები და მომხდარიყო პროექტის ზემოქმედების არეალში მოქცეული აქტივების ინვენტარიზაცია. გსგ-ს მომზადების დროს, დეტალური პროექტირების ეტაპზე, პუბლიკურ ყველა სავარაუდო პირთან კონსულტაციები განხორციელდა თემის დონეზე შეხვედრების გზით, ალწერის, სოციალურ-ეკონომიკური კვლევისა და დეტალური აზომვების დროს ინდივიდუალურად.

პუბლიკური პირები ინფორმირებული იყვნენ, რომ დასწრებოდნენ საჯარო განხილვებს. გარდა ამისა, ყველა მნიშვნელოვანი და საჭირო ინფორმაცია იქნა მათთვის

მიწოდებული პროექტის მიზნებისა და ამოცანების შესახებ, ასევე საგზაო პროექტის ზემოქმედებით გამოწვეული ზარალის სამართლიანი კომპენსაციის უფლებამოსილებაზე.

სოციალური კვლევის შედეგები

სოციალური უსაფრთხოების კონსულტანტმა განახორციელა სოციალური კვლევა რამოდენიმე ეტაპზე. საწყის ეტაპზე, პუბლიკ 5 პირი იქნა შერჩეული შემთხვევითობის პრინციპით და მათ ეწვივნენ თავიანთ საცხოვრებელ ადგილას. მიღებული საპასუხო რეაქციის საფუძველზე, სოციალური უსაფრთხოების კონსულტანტმა სპეციალურად შეადგინა კითხვარის შინაარსი. კითხვარი გამოყენებული იქნა პუბლიკ მოქცეული სხვა 40 პირის გამოსაკითხად.

კითხვარში მოყვანილი კითხვების პასუხები საკმაოდ დადებითად აისახა საგზაო პროექტის შედეგებზე.

კითხვაზე: „როგორ გამოიყენე მიღებული კომპენსაცია?“ პასუხი იყო პრაქტიკული და გონივრული.

გამოკითხული 40 პირიდან უმეტესობამ განაცხადა, რომ ისინი გამოიყენებენ კომპენსაციას ოჯახის ხარჯების დასაფარად (ცხოვრებისეული პირობების გასაუმჯობესებლად; ახალი მანქანის, ახალი ნივთებისა და აშ შესაძენად). გარდა ამისა, გაირკვა, რომ:

- თხუთმეტმა გამოკითხულმა (15) დაფარა საკუთარი ფინანსური ვალდებულებები (ვალები)
- სამმა (3) - დაფარა ბავშვების განათლების ხარჯები
- თორმეტმა (12) - შეაკეთა საკუთარი საცხოვრებელი სახლი
- ხუთმა (5) - უზრუნველყო საკუთარი ბავშვები ფინანსური დახმარებით
- ათი (10) - გეგმავს ახალი მიწის ნაკვეთის ყიდვას

მონიტორინგის პროცესის განმავლობაში სოციალური უსაფრთხოების კონსულტანტი პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ 5 შინამეურნეობას შეხვდა. ამ ადამიანების უმრავლესობამ დაადასტურა, რომ შეთავაზებული ფულადი კომპენსაცია გონივრული და სრულიად მისაღები იყო. დაფიქსირდა რამდენიმე შემთხვევა, როდესაც მესაკუთრეები არ შეურიგდნენ ფაქტს, რომ მრავალწლოვანი მცენარეები არ იყო სრულად ინვენტარიზებული და შესაბამისად შეფასებული. განხორციელდა განმეორებითი ინვენტარიზაცია, მესაკუთრეებმა მიიღეს განახლებული საკომპენსაციო პაკეტი და შეთანხმებებს საკუთარი სურვილითა და ნებაყოფლობით მოაწერეს ხელი.

დასკვნა: ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირების 100% კმაყოფილია მიღებული ფულადი კომპენსაციით და განმახორციელებელი ორგანოს მიერ გატარებულ ზომებს

მიიჩნევს სამართლიანად და გონივრულად.

მთლიანობაში ადგილობრივი მოსახლეობა დადებითად უდგება საავტომობილო გზების კონკრეტულ პროექტს და რეგიონის განვითარების სამომავლო პერსპექტივებს.

გენდერი და განსახლების ზემოქმედება

RAP-ი ითვალისწინებს გენდერზე პოზიტიურ ზემოქმედებას და სამშენებლო სამუშაოების კონტრაქტებში ქალების დასაქმების წახალისების ჩართვას პროექტის განხორციელების პროცესში. გარდა ამისა, ქალები, რომლებიც ხელმძღვანელობენ შინამეურნეობებს, განისაზღვრებოდნენ როგორც მოწყვლადი ჯგუფი და RAP-ის კომპენსაციებში მათთვის დამატებითი დახმარება იყო გამოყოფილი.

დასკვნა: არსებული 158 შინამეურნეობიდან (181 მიწის ნაკვეთი) ბაკურციხე-სოფ. გურჯაანი (კმ 1.06-კმ 9.00) ქვე-მონაკვეთზე პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული და ქალების საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების რაოდენობა 27-ია.

ამრიგად, სულ 27 შინამეურნეობის მიწის ნაკვეთები და სხვა საკუთრებაა დარეგისტრირებული შინამეურნეობის მდედრობითი წევრის სახელზე (ცოლი, ქალიშვილი, ქალიშვილი/ცოლისდა, მული და ა.შ.), თუმცა ამ შინამეურნეობებს ვერ ვუწოდებთ 'შინამეურნეობებს ქალის ხელმძღვანელობით'.

აქედან გამომდინარე, ბაკურციხე-სოფ. გურჯაანის (კმ 1.06 - კმ 9.00) ქვე-მონაკვეთში შინამეურნეობებისთვის ქალების ხელმძღვანელობით დამატებითი დახმარების გამოყოფა არ მომხდარა.

პრეტენზიების & საჩივრების განხილვის მექანიზმი

ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირების კმაყოფილების ხარისხის შეფასებისთვის, სოციალური უსაფრთხოების კონსულტანტმა მოითხოვა ყველა წარმოდგენილი საჩივრის ასლი. განსახლების სამმართველომ მოახდინა ყველა საჩივრის მიწოდების უზრუნველყოფა. სოციალური უსაფრთხოების კონსულტანტმა შეისწავლა, რომ ბაკურციხე-სოფ. გურჯაანის (კმ 1.06 - კმ 9.00) მონაკვეთში პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ ფართობზე მესაკუთრეებისგან ან მიწის ნაკვეთების მომხმარებლებისგან წერილობითი საჩივრების წარდგენას ადგილი არ ჰქონია. აღსანიშნავია, რომ არცერთ მესაკუთრეს არ მიუმართავს საჩივრების განხილვის კომისიისთვის მიწის ადგილმონაცვლეობის ხარჯების სანაცვლოდ გაცემულ კომპენსაციის რაოდენობასთან დაკავშირებული საჩივრით.

სახელმწიფო ხაზინა - ესქრო ანგარიშების ალტერნატივა

საავტომობილო გზების დეპარტამენტმა ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ მომხდარიყო ღია ესქრო ანგარიშების უზრუნველყოფა და მათი გამოყენება ფულადი კომპენსაციების გადასარიცხად RAP-ის განხორციელების პროცესის დაჩქარების მიზნით. ამ საკითხის განსახილველად საავტომობილო გზების დეპარტამენტმა მოაწყო შეხვედრა სახელმწიფო ხაზინასთან და საქართველოს ეროვნულ ბანკთან. განხილვისას გამოვლინდა, რომ სახელმწიფო ხაზინას არ გააჩნია ხაზინიდან კომერციულ ბანკთან

გახსნილ ესქრო ანგარიშზე თანხის საბანკო გადარიცხვის დადასტურებული პროცედურა იმ შემთხვევაში, როდესაც კანონიერი მფლობელის სახელი არ არის განსაზღვრული.

აღსანიშნავია, რომ მოცემული პროექტისთვის გამოყოფილი თანხები გადანაწილებულია სპეციფიკური ხარჯების შესაბამისად. კერძოდ, სამშენებლო ხარჯი, საზედამხედველო ხარჯი, და მათ შორის, მიწის შესყიდვისა და სხვა აქტივებისთვის გამოყოფილი ფულადი კომპენსაციების ხარჯები. შესაბამისად, ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირებისთვის განკუთვნილი საკომპენსაციო თანხები სახელმწიფო ხაზინაში განცალკევებულ კატეგორიაშია შენახული და განსაზღვრული პროცედურების გავლით გადარიცხება ზემოქმედების ქვეშ მოქცეული კანონიერი პირების პერსონალურ ანგარიშებზე.

ამგვარად, სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად, პროექტის გავლენის კომპენსაციებისთვის განკუთვნილი ფინანსური რესურსები განთავსებულია სახელმწიფო ხაზინის სპეციალურ ანგარიშზე, რომელსაც გარკვეულწილად ესქრო ანგარიშის მსგავსი ფუნქცია გააჩნია.

დაკვნა: საავტომობილო გზების დეპარტამენტმა იპოვა საუკეთესო გამოსავალი იმისთვის, რომ ზემოქმედების ქვეშ მოქცეულმა ყველა პირმა მიიღოს ფულადი კომპენსაცია RAP-ის მოთხოვნების შესაბამისად და, ამავდროულად, არ გახდეს საჭირო ადგილზე სამშენებლო სამუშაოების შეჩერება.

დასკვნები

მონიტორინგის პროცესში გამოვლენილი შედეგების ანალიზით საავტომობილო დეპარტამენტის განსახლების სამმართველოს წარმატებული მიღწევები აშკარაა.

RAP-ის განხორციელების პროცესის ფარგლებში მიწის შესყიდვა და განსახლება განხორციელდა მსოფლიო ბანკის უსაფრთხოების რეგულაციების, კერძოდ კი, OP 4.12-ის (არანებაყოფლობით განსახლების პოლიტიკა) და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

ამგვარად, საბოლოო შესაბამისობის ანგარიში (RFCR) მოიცავს განსახლების სამოქმედო გეგმის მონიტორინგის შედეგების დეტალურ აღწერებს და RAP-ის განხორციელების პროცედურების მიწის შესყიდვით და განსახლების პოლიტიკის ჩარჩოებითა (RPF) და განსახლების სამოქმედო გეგმით განსაზღვრულ პირობებთან შესაბამისობის დონის შეფასებას.

განსახლების სამოქმედო გეგმის (RAP) განხორციელების პროცესში ჩატარებული აქტივობები და მიღწეული შედეგები საშუალებას იძლევა RAP-ის განხორციელების შედეგები განისაზღვროს როგორც პოზიტიური.

დამტკიცებული RAP-ის პროექტის მიხედვით, ბაკურციხე-სოფ. გურჯაანის (კმ 1.06-9.00) ქვე-მონაკვეთის ზემოქმედება თავდაპირველად გავრცელდა 181 (2 მინიმიზაციის საქმე, 19 წინასწარი შეთანხმება) მიწის ნაკვეთზე.

სოციალური უსაფრთხოების კონსულტანტის ანგარიში

ამ დროისათვის არსებული მიღწევების სტატუსებისა და მიმდინარე საკითხების სპეციფიკურობის გათვალისწინებით, RAP-თან მიმართებით საგზაო მშენებლობის სამუშაოების დაწყება სრულიად გონივრულია.

დანართი 1

ადგილობრივ მოსახლეობაზე არაპირდაპირი ზემოქმედების შეფასება

ადგილობრივ მოსახლეობაზე RAP-ით დაგეგმილი ქმედებების ზემოქმედების შეფასების გარდა, სოციალური უსაფრთხოების კონსულტანტი, შეფასების ფარგლებში, გეგმავს ადგილობრივ მოსახლეობაზე ზემოქმედების შეფასებას განსახლების აქტივობების მიმდინარეობისას და მათი დასრულების შემდგომ, განსაკუთრებით კი მშენებლობის ფაზაში.

ზემოქმედების შეფასება განხორციელდა მომდევნო კრიტერიუმების გათვალისწინებით:

დასაქმება

ახლადარჩეული სამშენებლო კომპანია 'კომპანია ბლექ სი გრუპისა და ვაჰაგისა და სამველის ერთობლივი საწარმო' აპირებს დააკმაყოფილოს ადგილობრივი მოსახლეობის სურვილი - დასაქმდნენ სამშენებლო სამუშაოებზე.

ამჟამად, ადგილობრივი მოსახლეობის რიგი წარმომადგენლები გურჯაანის რეგიონიდან მზად არიან დასაქმდნენ მშენებლობის პროცესში. ეს იქნება ადგილობრივი მოსახლეობისთვის არაპირდაპირი პოზიტიური სარგებელი.

დასკვნა: სამშენებლო კომპანია გეგმავს დასაქმებასთან დაკავშირებით ადგილობრივი მოსახლეობის სურვილებისა და მოლოდინების გამართლებას; აღნიშნული აქტივობა მსოფლიო ბანკის პირობებთან შესაბამისობაშია.

საჩივრების განხილვის მექანიზმი

RAP-ის ფარგლებში შემავალი საჯარო შეხვედრების განმავლობაში ადგილობრივი მოსახლეობა ინფორმირებული იყო საჩივრებზე რეაგირების მექანიზმის შესახებ. მოსახლეობას მიეწოდა ინფორმაცია, რომ სამშენებლო კომპანიისა და საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ქმედებების მიმართ ნებისმიერი უკმაყოფილების შემთხვევაში, მათ შეუძლიათ მიმართონ ადგილობრივ დონეზე ურთიერთობების კონსულტანტს, სოციალური უსაფრთხოების კონსულტანტს ან RDMRDI-ის წარმომადგენელს (წარმომადგენლებს).

2016 წლის თებერვალი-ოქტომბრის პერიოდში საავტომობილო გზების დეპარტამენტმა და ადგილობრივ დონეზე ურთიერთობების კონსულტანტმა თითქმის 50 საჩივარი მიიღეს ადგილობრივი მოსახლეობისგან, საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ გამოსწორებულ იქნა საჩივრების 95% და აღნიშნული ინფორმაცია დამატებით გაეგზავნება მსოფლიო ბანკს თვიური ანგარიშის სახით. ზემოქმედების ქვეშ მოქცეული

ორი შინამეურნეობის ორი საჩივარი ჯერჯერობით გადაუწყვეტელია და შეუთანხმებლობის შემთხვევაში საავტომობილო გზების დეპარტამენტი მიმართავს სასამართლოს.

საველე სამუშაოების განმავლობაში ადგილობრივ დონეზე ურთიერთობების კონსულტანტი და სოციალური უსაფრთხოების კონსულტანტი აგრძელებენ მოსახლეობის მიერ გამოთქმული ყველა საჩივრის ჩაწერას და მათ შესახებ ატყობინებენ საავტომობილო გზების დეპარტამენტს, ისევე როგორც, სამშენებლო კომპანიას.

დანართი 2

დისკუსიებისა და მოსახლეობასთან გამართული შეხვედრების შეჯამება

მოსახლეობის მოსაზრებების შესაკრებად ჩატარდა სოციალური კვლევა სხვადასხვა კვლევითი მეთოდების გამოყენებით, მათ შორის, დისკუსიები ფოკუს ჯგუფთან და პირისპირ გასაუბრებები.

ჯგუფური შეხვედრების დროს მოსახლეობა კმაყოფილებას გამოხატავს ზიანისა და საკომპენსაციო განაკვეთების დაანგარიშების მეთოდით, საკომპენსაციო განაკვეთები მისაღები და ადგილობრივ ბაზარზე არსებული ფასების შესაბამისია.

ზოგადად, მოსახლეობა აპირებს მიღებული კომპენსაციები საყოფაცხოვრებო საჭიროებებსა და საარსებო წყაროების გაუმჯობესებაზე დახარჯოს. აღნიშნული გადაწყვეტილების მდგრადობა შეფასდება მომდევნო წელს დაგეგმილი შემდგომი კვლევით.

პირდაპირი ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ 20 პირთან ჩატარდა პირისპირ გასაუბრებები სპეციალურად შემუშავებული კითხვარის გამოყენებით.

1. კოჩიევი ივანე
2. ბაწაშვილი გივი
3. ოქროკვერცხიშვილი ნიკოლოზი
4. ბერიკაშვილი ნელი
5. ხატიაშვილი შოთა
6. ამისულაშვილი ამირანი
7. მუნჯიშვილი გიული

8. ბიაშვილი გიორგი
9. იმედაშვილი იმედა
10. სიბაშვილი თამაზი
11. ზავრაშვილი მიშა
12. ზავრაშვილი ილია
13. ჭანყოშვილი ბადრი
14. მთივლიშვილი გიორგი
15. სვიმონიშვილი ალექსანდრე
16. ჭანყოშვილი ალექსი
17. ცინკაშვილი გივი
18. ბუზალაძე ვიქტორი
19. ჯავშანაშვილი ამირანი
20. ყანდიაშვილი დიმიტრი
21. ყვირალიშვილი ილია
22. ჯავნაშვილი გიორგი
23. გაფრინდაშვილი ივანე
24. მურაკაშვილი ზახარია
25. მახარაშვილი ივანე
26. მამულაშვილი გივი
27. ირემაშვილი გიორგი
28. მამულაშვილი სოსო
29. ლაზაშვილი სათინო
30. უტიაშვილი გივი
31. დოიჯაშვილი ბესიკი

32. დულარიძე ივანე
33. უსეინაშვილი ივანე
34. ზარდიაშვილი სოსო
35. იმერლიშვილი გიმი
36. ვარაზაშვილი ოთარი
37. ქორთიშვილი ანა
38. ქორთიშვილი შალვა
39. სონღულაშვილი ლერი
40. თამარაშვილი არჩილი

შედეგები წარმოდგენილია ანგარიშის შესაბამის თავში.

დანართი 3. ხელმოწერილი შეთანხმების აქტის ნიმუში (საავტომობილო გზების დეპარტამენტის ოფისში 19 ხელმოწერილი შეთანხმებაა ხელმისაწვდომი ქართულ ენაზე).

ურთიერთშეთანხმების აქტი N-1

გურჯაანი

24 მისი 2016 წ.

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერი, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საქმიანობებში დაწესებულება საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის საავტომობილო გზების განსახლებისა და გარემოს დაცვის სამმართველოს შტატგარეშე მოსამსახურე გიორგი მიქაძე (პირ. N01011035794), მსოფლიო ბანკის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში ადგილობრივი განსახლების კონსულტანტი ნოდარ კოჭლამაზაშვილი (პირ. N14001000090) და გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ~~მცხოვრები~~ მთქალაქე ~~მთქალაქე~~ საქართველოს (პირ. N14001051494) ვადგენთ აღნიშნულ აქტს მასზედ, რომ ~~საქართველოს~~ საქართველოში არსებული გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ~~მცხოვრები~~ მთქალაქე ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთის (---2---) ნაწილი მოექცა ბაკურციხე გურჯაანის შემოსავლელი გზისპროექტის შემოქმედების ფარგლებში (პრობოთა N ~~286~~ 286 მთქალაქე ~~საქართველოს~~ საქართველოში) (პირ. N პირ. N ~~14001051494~~ 14001051494) აღნიშნავს, რომ გარკვეული მოსახლების გამო ამ ეტაპზე ეერ ახერხებს მიწის ნაკვეთის გაფორმება-დაკანონებას, რაც გარკვეულ პერიოდს მოითხოვს. შესაბამისად ვერ ხერხდება ხელშეკრულების გაფორმება და განსახლების სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული საკონპენსაციო თანხის მიღება (რაც თანხმობას აცხადებს).

ხელშეკრულების გაფორმებაშივე გზისმშენებლობის სამუშაოების ნატარების (ზემოთ ხსენებული მონაკვეთის ფარგლებში) წინააღმდეგი არ არის.

აღნიშნული აქტის სინამდვილეს ვადასტურებთ ხელმოწერით:

საავტომობილო გზების განსახლებისა და გარემოს დაცვის სამმართველოს შტატგარეშე მოსამსახურე გიორგი მიქაძე

მთქალაქე: საქართველოს

ევროპის საინვესტიციო ბანკის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში ადგილობრივი განსახლების კონსულტანტი:

ნოდარ კოჭლამაზაშვილი ნ. კოჭლამაზაშვილი